ფსიქოლოგიური მედეგობა საქართველოში: როგორ ვუმკლავდებით ინფორმაციულ საფრთხეებს

პოლიტიკის დოკუმენტი, იანვარი 2025

NATO OTAN

British Embassy Tbilisi

GIP

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი
გამოცემა #47 | იანვარი 2025

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინოვაციებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილებისა და თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტორებს ეკისრებათ. ტექსტი არ წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და დონორთა შეხედულებებს.

ციტირების წესი:

კორნელი კაკაჩია, ბიძინა ლებანიძე, მარეკ კოვი, სალომე კანდელაკი, ბიძინა ლებანიძე, შოთა კაკაბაძე, "ფსიქოლოგიური მედეგობა საქართველოში: როგორ ვუმკლავდებით ინფორმაციულ საფრთხეებს", პოლიტიკის დოკუმენტი #47, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, იანვარი 2025.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2025

ა. პუშკინის ქ. 13, 0107 თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 595 045 144

ელ.ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ესტუმრეთ:

www.gip.ge

ავტორების შესახებ

კორნელი კაკაჩია, არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი. იგი ამავე დროს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჟან მონეს პროფესორი. პროფესორი კაკაჩია სხვადასხვა დროს იყო მიწვეული მკვლევარი ჯონ კენედის სახელობის სახელმწიფო მმართველობის სკოლაში, ჰარვარდის უნივერსიტეტი(2009-2010), ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (2000), ასევე კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში(2011). მას მოპოვებული აქვს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. იგი ასევე არის საერთაშორისო კვლევების ასოციაციისა(ISA) და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული ევრაზიის კვლევების პროგრამის(PONARS ევრაზია) წევრი. კორნელი კაკაჩია არის თანაავტორი წიგნებისა „საქართველოს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში: გამოწვევები მცირე სახელმწიფოსთვის“ (ლონდონი, ნიუ-იორკი: I.B. Tauris, 2021) და „უსაფრთხოების დინამიკა შავი ზღვის რეგიონში: გეოპოლიტიკური ცვლილებები და რეგიონული წესრიგი“(Springer Nature Switzerland AG 2024).

ბიძინა ლებანიძე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) უფროსი ანალიტიკოსი და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის სლავური ენებისა და კავკასიის კვლევის ინსტიტუტის პოსტდოქტორანტი მკვლევარი. მას მინიჭებული აქვს პოლიტიკურ მეცნიერებებში დოქტორის ხარისხი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტისგან , ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებში მაგისტრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. მანამდე ის ასევე ეწეოდა კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას ბრემენის უნივერსიტეტში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის სკოლაში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და კონრად-ადენაუერის ფონდში.

მარეკ კოვი არის უსაფრთხოებისა და მედეგობის პროგრამის ხელმძღვანელი ICDS-ში. მისი სპეციალიზაცია მოიცავს ჰიბრიდული ომის, დაზვერვისა და სპიონაჟის, წინასწარი დაზვერვის, სიტუაციური ცნობიერებისა და საინფორმაციო ოპერაციების მიმართულებებს. ის ICDS-ს 2024 წელს შეუერთდა, უსაფრთხოების და ეროვნული თავდაცვის 20-წლიანი გამოცდილებით. წინა თანამდებობას იკავებდა საჯარო სექტორში, სადაც მუშაობდა ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელად, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოორდინაციის ბიუროში. თავის სხვა მოვალეობებთან ერთად, მარეკ კოვი პასუხისმგებელი იყო რამდენიმე ანალიტიკურ მიმართულებაზე, რომლებიც მიზნად ისახავდა პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის მინისტრების სიტუაციური ცნობიერების შენარჩუნებას. მისი კარიერის განმავლობაში, კოვი ასევე მსახურობდა ესტონეთის თავდაცვის ძალებში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის სამხედრო დაზვერვის ცენტრსა და მთავარ სამმართველოში. მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე უცხოურ ოპერაციაში, მათ შორის ერაყსა და ავღანეთში. როგორც ფსიქოლოგიური ოპერაციების ოფიცერი, კოვი არის აშშ-ის არმიის ჯონ ფ. კენედის ომის სპეციალური ცენტრისა და სკოლის კურსდამთავრებული. მას აქვს მაგისტრის ხარისხი ევროპული და საერთაშორისო სამართლის განხრით, რომელიც მიენიჭა ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან.

სალომე კანდელაკი, ნატოლინის ევროპის კოლეჯის სადოქტორო პროგრამის სტიპენდიანტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტი. სალომე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პროექტის მენეჯერი და პოლიტიკის ანალიტიკოსი. მისი ინტერესის სფეროა პოლიტიკის შედარებითი ანალიზი, განსაკუთრებული აქცენტით რელიგიასა და პოლიტიკაზე, ასევე რეგიონალიზმსა და დემოკრატიზაციაზე. მას აქვს მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში, შედარებითი პოლიტიკის მიმართულებით, ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან. მას მოპოვებული აქვს კიდევ ერთი მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრირებაში გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (Speyer) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამიდან.

შოთა კაკაბაძე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. იგი არის ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) ფილოსოფიის დოქტორი პოლიტიკის მეცნიერებებში. მას ამავე უნივერსიტეტში მიღებული აქვს ევროკავშირი-რუსეთის კვლევების მაგისტრის ხარისხი. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, შოთა ასევე იყო შვედეთის ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინსტიტუტში (უფსალას უნივერსიტეტი) და საერთაშორისო ურთიერთობების უმცროსი მკვლევარი იოჰან შუტეს სახელობის პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტში (ტარტუს უნივერსიტეტი). მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ეროვნული იდენტობის დისკურსებს, საგარეო პოლიტიკას, აღმოსავლეთ პარტნიორობას. შოთას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე აკადემიური ნაშრომი და წიგნის თავი (book chapter) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

სარჩევი

შესავალი 5

გახლეჩილი საზოგადოება: ინფორმაციული საფრთხის გამოწვევა 7

ადგილობრივი პრაქტიკა და აღქმა საინფორმაციო საფრთხეებზე: ძირითადი ინსტრუმენტები და აქტორები 11

სამართლებრივი და ინსტიტუციური ბერკეტები 12

სამოქალაქო ინსტრუმენტები 13

შეუსაბამობები დეკლარირებულ პოლიტიკასა და პრაქტიკას შორის 13

ქართული მედიისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული წრეების აღქმა საინფორმაციო საფრთხეებთან დაკავშირებით 14

საინფორმაციო საფრთხეები მედიის გადმოსახედიდან 14

დეზინფორმაციის იდენტიფიცირებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული გამოწვევები 14

ინფორმაციის გავრცელებაზე მოქმედი ფაქტორები 15

შიდა და გარე გავლენების ურთიერთდაკავშირებულობა 15

ფსიქოლოგიური მედეგობის შენება 15

უსაფრთხოების ექსპერტთა მოსაზრება საინფორმაციო საფრთხეებზე 16

საინფორმაციო მანიპულაციის ძირითადი ნარატივები 16

საინფორმაციო მანიპულაციასთან გამკლავების წყაროები და საშუალებები 16

ესტონეთის გამოცდილება: რუსული გავლენისადმი მედეგობა 17

ესტონეთის გამოცდილება რუსეთის ჩარევისას 18

გამორჩეული შემთხვევა: ბრინჯაოს ჯარისკაცის ინციდენტი 18

არჩევნებში ჩარევა და ფიზიკური დაშინება 19

მედია, როგორც ფარი დეზინფორმაციის წინააღმდეგ 19

დასკვნა და რეკომენდაციები 20

ბიბლიოგრაფია 24

შესავალი

წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი, საქართველოს მაგალითზე, შეისწავლის თუ რამდენად შეუძლიათ პატარა, ფრონტისპირა სახელმწიფოებს საინფორმაციო საფრთხეებთან ბრძოლა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველო შავი ზღვის რეგიონში რუსეთისა და დასავლეთის კონფლიქტურ ინტერესთა შორის მოქცეული, გეოპოლიტიკური დაპირისპირების, ფრონტისპირა სახელმწიფოა. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში, ამის შედეგად კი რუსეთ-დასავლეთის გეოპოლიტიკური მეტოქეობის გამწვავებამ, კიდევ უფრო გაამძაფრა საქართველოს დაუცველობა მომეტებული საინფორმაციო საფრთხეებისა და არალიბერალური სახელმწიფოებისაგან მომდინარე მტრული დამოკიდებულებების მიმართ.

კვლევის მიზანია სრულყოფილად გაანალიზდეს თუ რა საფრთხეებს უქმნის მტრული საინფორ-მაციო აქტივობები ქართული საზოგადოების ფსიქოლოგიურ მედეგობას და რა როლს თამაშობს ქართული მედია, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური აქტორები, თუ საერთაშორისო საზოგადოება ამ დაუცველობის გამწვავებასა თუ შერბილებაში.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა უმთავრესად ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, მათ შორის, როგორც სამაგიდე, ისე საველე კვლევის ინსტრუმენტებს. სამაგიდე კვლევის კომპონენტი მოიცავს პირველადი და მეორეული წყაროების დამუშავებას, ხოლო საველე კვლევის კომპონენტი მოიცავს ინტერვიუებს უსაფრთხოების ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან, ასევე ფოკუს-ჯგუფებს ქართული მედიის წარმომადგენლებთან.

ნატო საინფორმაციო საფრთხეებს განმარტავს როგორც „განზრახ, მავნე, მანიპულაციურ და კოორდინირებულ ქმედებებს, რომლებსაც სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორები ახორციელებენ და შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით - უცხოური აქტორების მიერ ინფორმაციით მანიპულირება და ჩარევა, საინფორმაციო ოპერაციები და დეზინფორმაცია. ეს აქტივობები დაბნეულობის გამოსაწვევად ხორციელდება, ასევე ემსახურება განხეთქილების დათესვას, საზოგადოებების დესტაბილიზაციას, აღქმებსა და ქცევებზე გავლენის მოხდენას და, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს ნეგატიურ ზემოქმედებას ნატოზე, მის მოკავშირეებსა და პარტნიორებზე" (NATO 2024).

თანამშრომლობითი მიდგომიდან გამომდინარე, ნატომ ერთი მხრივ, განავითარა საინფორმაციო საფრთხეებზე რეაგირების მთელი რიგი საშუალებები (როგორც პროაქტიული, ასევე რეაქტიული), ხოლო მეორე მხრივ, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიები. აღნიშნული სტრატეგიები მოქნილია, შეიძლება გაძლიერდეს ან შესუსტდეს საფრთხის მახასიათებლებისდა მიხედვით, ამასთან ისინი შეესაბამება ნატოს სტრატეგიულ საკომუნიკაციო მიზნებსა და პრიორიტეტებს. რეაგირების საშუალებები სტრუქტურირებულია ოთხი ძირითადი ფუნქციის გარშემო: შესწავლა, პრევენცია, შეკავება და შერბილება და აღდგენა (ibid).

ფსიქოლოგიური მედეგობა საერთაშორისო პოლიტიკაში საკვანძო კონცეფციაა. ოქსფორდის ბიბლიოგრაფიის მიხედვით, ფსიქოლოგიური მედეგობა გულისხმობს ინდივიდებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების უნარს, სწრაფად და მარტივად აღიდგინონ ძალები ან წინააღმდეგობა გაუწიონ უბედური შემთხვევების ეფექტებს. სახელმწიფო მართვის ხელოვნებაში, იგი გულისხმობს არა მხოლოდ შოკებისა და არეულობებისაგან ძალების აღდგენის უნარს ან "ნორმალურობასთან" დაბრუნებას, არამედ იგი ადაპტაციის გზით იძლევა „წინ წასვლის" ეფექტსაც. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, განხილულ იქნას როგორც სასურველი მდომარეობა, მიუხედავად იმ ურაყოფითი მახასიათებლებისა, რაც თან სდევს გარეგანი, დროში განგრძობადი შოკებისადმი დაუცველობას. ფსიქოლოგიური თავდაცვის მიმართ შვედური მიდგომა გულისხმობს მოსახლეობის უნარს, ამოიცნოს და წინააღმდეგობა გაუწიოს მავნე გავლენის მქონე კამპანიებსა და დეზინფორმაციას, რითაც ხელს შეუწყობს მედეგობას და განამტკიცებს მზაობას ქვეყნის დასაცავად.

ჩვენი ანალიზის მთავარი მიგნებაა, რომ საქართველოში ფსიქოლოგიური მედეგობის დაბალი ხარისხი ასუსტებს ქვეყნის უნარს, რეაგირება მოახდინოს საინფორმაციო საფრთხეებზე და აძლიერებს მათ ნეგატიურ ზემოქმედებას. ეს ნაწილობრივ გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტისა და პოლიტიკურ კლასის აღქმებში, ქვეყნის მთავარ მიზნებსა და რისკებთან მიმართებით, მნიშვნელოვანი აცდენა შეინიშნება.

კომპლექსური საინფორმაციო საფრთხეების დაძლევა იმგვარ საპირწონე ღონისძიებათა ერთობლიობას ითხოვს, რომელიც საზოგადოების ერთიან მიდგომაში (Whole of society approach) იქნება ინტეგრირებული. ეს ყველა მთავარი აქტორის ჩართულობასა და ერთობლივ მუშაობას საჭიროებს - მათ შორის დამოუკიდებელი ფაქტჩეკერების (ფაქტების შემმოწმებლების), გადაწყვეტილების მიმღებებისა და აკადემიური საზოგადოების მხრიდან. თუმცა, საქართველოს ამჟამად სწორედ ეს აკლია: მისი საზოგადოება გაყოფილია, პოლიტიკური კლასი კი - ღრმად პოლარიზებული. უახლეს წარსულში საქართველოს მთავრობის სოციალურად კონსერვატიულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე გადასვლამ, ასევე საგარეო პოლიტიკური კურსის არალიბერალური აქტორებისკენ რეორიენტირებამ და დასავლეთისგან ჩამოშორებამ, საინფორმაციო საფრთხეებთან დაპირისპირებაში საქართველოს შესაძლებლობები კიდევ უფრო დაასუსტა. მმართველი პარტიის ამოცანა - ძალაუფლება განუსაზღვრელი ვადით შეინარჩუნოს და ქვეყნის ინსტიტუტები საკუთარი მმართველობის პერიოდის გახანგრძლივებისთვის გადააწყოს - კიდევ უფრო ასუსტებს ქვეყნის მედეგობას საინფორმაციო საფრთხეების მიმართ. არჩევნების გაყალბებისა და უსამართლობის აღქმამ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში (Gutbrod 2024) საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, სოციალური განხეთქილება კი გაამწვავა. შესუსტდა საერთო იდენტობების განცდაც, შედეგად კი საქართველო სულ უფრო დაუცველი ხდება გარე მავნე გავლენის მიმართ, რაც თავის მხრივ, ასუსტებს ქართული საზოგადოების ფსიქოლოგიურ მედეგობას.

ამ კონტექსტში, სასარგებლოა საქართველოს მედეგობის სხვა მცირე სახელმწიფოებთან შედარება, რომლებიც გარკვეულწილად მსგავსი გამოწვევების წინაშე მდგარან. ერთი ასეთი მაგალითია ესტონეთი. წინამდებარე ნაშრომი აღწერს ესტონეთის ხანგრძლივ ბრძოლას რუსული საინფორმაციო საფრთხეების წინააღმდეგ და თუ როგორ მოახერხა ბალტიისპირეთის ამ სახელმწიფომ განმეორებადი საინფორმაციო საფრთხეების შემცირება და მათ მიმართ მედეგობის შენარჩუნება. ესტონეთის არაერთი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია ბევრი ისწავლოს ესტონეთისგან. მათ შორისაა მრავალმხრივი სახელმწიფო სტრატეგიები და საზოგადოების ერთობლივი და კოორდინირებული მიდგომები მთავრობას, მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. თუმცა, ორ ქვეყანას შორის არსებითი განსხვავებებიცაა, რაც საქართველოს უფრო დაუცველს ხდის ინფორმაციული საფრთხეების მიმართ. ერთ-ერთი მთავარი განსხვავება გეოპოლიტიკურ გარემოშია: ესტონეთისგან განსხვავებით, საქართველოს უსაფრთხოების მთავარი გარანტიები არ აქვს დასავლეთის მხრიდან. საქართველოს ნატოში გაწევრიანებისაკენ სწრაფვამ ჯერაც ვერ შეისხა ხორცი (Cecire 2022), ევროკავშირი კი ათწლეულებია უგულებელყოფს საქართველოს უსაფრთხოების არასტაბილურ მდგომარეობას (Sabanadze 2022). ამავდროულად, რუსეთის არაპროვოცირებულმა აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ აჩვენა, რომ რუსეთის ფედერაცია მზადაა რეგიონული ჰეგემონიის აღსადგენად პირდაპირი სამხედრო ძალა გამოიყენოს საკუთარი მეზობლების წინააღმდეგ (კაკაჩია 2024). რუსეთის წინააღმდეგ თუნდაც მინიმალური შეკავების სისტემის არარსებობამ ხელი შეუწყო საქართველოში ქვეყნის დაუცველობის შესახებ წარმოდგენის ფართოდ გავრცელებას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მწარე გამოცდილებამ და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის განმეორებითმა შემთხვევებმა, „ბორდერიზაციის“ სახით, (კაკაჩია 2018) საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური მედეგობა კიდევ უფრო დააზიანა. ეს სიტუაცია საქართველოს რუსეთიდან მომდინარე საინფორმაციო საფრთხეებისთვის ნოყიერ ნიადაგად აქცევს და ასევე, ხსნის, რატომ რჩება „მშვიდობის“ არგუმენტი ასეთი მიმზიდველი საქართველოს მოსახლეობისთვის. ამ დაუცველობას და უსაფრთოების არქონის შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს ბოლო პერიოდში ხელისუფლების წარმომდგენელთა მხრიდან ევროკავშირისა და ნატოს ნეგატიურ ჩარჩოში წარმოჩენა. აღსანიშნავია ისიც რომ, ბოლო წლებში ქართული ოცნების ლიდერები ნატოსთან მეტ ინტეგრაციას საქართველოში რუსეთის განმეორებითი შემოჭრის საბაბად წარმოაჩენდნენ (Light 2024), ხოლო ევროკავშირს ადანაშაულებდნენ როგორც საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევაში, ისე ქართული იდენტობისთვის საფრთხის შექმნაში.

წინამდებარე პოლიტიკის ნაშრომის შემდგომი თავები საინფორმაციო საფრთხეებთან ბრძოლისა და საზოგადოების მედეგობის გასაძლიერებლად არსებულ საუკეთესო გამოცდილებებს მიმოიხილავს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოებისადმი შემუშავებული რეკომენდაციები - თუ როგორ გავუმკლავდეთ საინფორმაციო საფრთხეებს.

გახლეჩილი საზოგადოება: ინფორმაციული საფრთხის გამოწვევა

თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების, მათ შორის სოციალური მედიისა და ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ და გავრცელებამ ისეთ ავტოკრატიულ სახელმწიფოებს, როგორიც რუსეთია, მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, კრიტიკული ინფრასტრუქტურის სისუტეებით სარგებლობის საშუალება მისცა (Nadibaidze 2024). რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ყოფილი საბჭოთა ქვეყნები საკუთარი ინფორმაციული, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის ქვეშ შეინარჩუნოს. ამ მიზნების მისაღწევად, მოსკოვი საქართველოს სხვადასხვა სახის სისუსტეებით სარგებლობს. ეს საქართველოს მყიფე ეკონომიკით, მწვავე სოციალური პრობლემებით, ღრმა პოლიტიკური პოლარიზაციით, მედიებისა და პარტიების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებულობით და ე.წ. ტრადიციული ღირებულებების პოლიტიზებით (ლგბტქ+ უფლებების ინსტრუმენტალიზაცია) სარგებლობასაც გულისხმობს. გარდა ამისა, კრემლი ევროატლანტიკური ინტეგრაციით დაღლილობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონფლიქტების მოუგვარებლობაზეც ახდენს კაპიტალიზებას.

ღიად პრო-კრემლური ნარატივების პოპულარიზაციასთან ერთად, კრემლი მუშაობს დასავლური ღირებულებებისა და ინსტიტუტების დისკრედიტაციაზე, უსვამს რა ხაზს სავარაუდო შეუთავსებლობას ქართულ იდენტობასა და დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას შორის (NATO StratCom COE, 2021). პარალელურად, რუსული დეზინფორმაციული ნარატივი მოსკოვს დასავლეთის სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად წარმოაჩენს საქართველოში, ისევე როგორც ტრადიციული ღირებულებების დამცველს, სტაბილურ პარტნიორს და დასავლური ლიბერალიზმისა თუ გავლენებისადმი საპირწონე ძალას. მეტიც, შინ ნაზარდი ონლაინ დეზინფორმაცია სულ უფრო მზარდია. ცილისწამების კამპანიები, დეზინფორმაცია და არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება ყვავის ქვეყნის ყველაზე პოპულარულ სოციალურ მედია პლატფორმებზე. ეს კამპანიები მიზანმიმართულია პოლიტიკურ ოპონენტებზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, დამოუკიდებელ მედიასა და დასავლურ ინსტიტუტებზე, რაც საზოგადოებაში განხეთქილებას თესავს და უნდობლობას აძლიერებს (TI, 2019).

იმის გამო, რომ დეზინფორმაცია რუსეთის ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტთა განუყოფელი ნაწილია, ამ ჰიბრიდული თავდასხმების განსაკუთრებით ძლიერი მიმართულება მათი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის გამოყენებაა. ის დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის ხელის შემშლელია იმით, რომ ძირს უთხრის ფართოდ გაზიარებულ საზოგადოებრივ ნორმებს და ხელს უწყობს ალტერნატიული ნარატივების ჩამოყალიბების პროცესს, რაც შედეგად კიდევ უფრო ამძაფრებს პოლიტიკურ პოლარიზაციას და სოციალურ დაყოფებს (Schleffer and Miller 2021). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინაშე ბევრი გამოწვევაა, პოლარიზაციისა და საზოგადოების დაყოფის მაღალი ხარისხი, ისევე როგორც სოციალური და პოლიტიკური ნდობის დაბალი დონე, გადამწყვეტი ფაქტორებია. ამ გარემომ ასევე დააზარალა მედიის პოლარიზაცია, რის შედეგადაც მოსახლეობაში მედია წიგნიერების დონე დაბალია. პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალმა დონემ ქართული საზოგადოება განსაკუთრებით დაუცველი გახადა საინფორმაციო საფრთხეების მიმართ. ეს დაუცველობა კიდევ უფრო ძლიერდება ტრადიციული მედიისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობით. მონაცემები აჩვენებს, რომ საინფორმაციო საშუალებების მიმართ ნდობა შედარებით დაბალია, განსაკუთრებით ურბანულ სივრცეებსა და მოსახლეობის ახალგაზრდა სეგმენტებში (დიაგარამა 1, დიაგრამა 2 და დიაგრამა 3).

დიაგრამა 1 მედიისადმი ნდობა



წყარო: კავკასიის barometer 2024 საქართველო. ხელისაწვდომია

დიაგრამა 2 მედიისადმი ნდობა - დასახლების ტიპი



წყარო: კავკასიის barometer 2024 საქართველო. ხელისაწვდომია:
https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/TRUMEDI-by-SETTYPE/

დიაგრამა 3 მედიისადმი ნდობა - რესპონდენტთა ასაკის მიხედვით



წყარო: კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო. ხელისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/TRUMEDI-by-AGEGROUP/

ამ მონაცემების მიხედვით, ტრადიციული მედია ვერ ახერხებს, ეფექტურად გაავრცელოს ობიექტური ინფორმაცია და შეცდომაში შემყვან ნარატივებს დაუპირისპირდეს. მედიისადმი ნდობის ნაკლებობა განსაკუთრებით გამოხატულია დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებში, რომლებიც სულ უფრო მეტად და მეტად იყენებენ სოციალურ მედიასა და ონლაინ პლატფორმებს ახალი ამბების გასაცნობად. ამ ტენდენციიდან გამომდინარე დეზინფორმაციისა და არაზუსტი ინფორმაციის მიმღებები უფრო ხშირად სწორედ ეს ჯგუფია, ვიდრე მოსახლეობის ხანდაზმული ნაწილი. მაგალითად, 18-34 წლის პირებს შორის ახალი ამბების პირველადი წყაროა სოციალური მედია (34%) და სხვა ინტერნეტ პლატფორმები (31%), განსხვავებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფებისა, სადაც ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია - 35-54 ასაკის პირებში 22% და 24%, ხოლო 55+ ასაკობრივ ჯგუფში 9% და 4% (კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2024).

ანალოგიურად, შემაშფოთებლად დაბალია პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა. 2024 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს, რომ ქართველების მხოლოდ 3% ენდობა პოლიტიკურ პარტიებს სრულად, ხოლო დამატებით 9% გარკვეულ ნდობას გამოხატავს (Caucasus Barometer Georgia, 2024). ამ მაჩვენებლების ასაკობრივი ჯგუფისა და დასახლების ტიპების მიხედვით ანალიზი (დიაგრამა 4 და დიაგრამა 5) კიდევ უფრო მკვეთრად აჩვენებს ამ ღრმად გამჯდარ უნდობლობას. ასეთი ყოვლისმომცველი უნდობლობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის დეზინფორმაციის სტრატეგიების წარმატებისთვის, რომლებიც თავის მხრივ იდენტობის შესახებ წუხილებს ეჭიდება და განხეთქილებას აძლიერებს.

დიაგრამა 4 ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ - დასახლების ტიპის მიხედვით



წყარო: კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო. ხელისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/TRUPPS-by-SETTYPE/

დიაგრამა 5 ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ - რესპონდენტთა ასაკის მიხედვით



მიხედვით წყარო: კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო. ხელისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/TRUPPS-by-AGEGROUP/

ამის საპირისპიროდ, საჯარო ინსტიტუტებისა და მედიის მიმართ ნდობა გაცილებით მაღალია იმ სხვა მცირე სახელმწიფოებში, რომლებიც უფრო მეტ სოციალურ მედეგობას ავლენენ. Ipsos-ის 2023 წლის კვლევის მიხედვით, ესტონელთა 78% ენდობა ონლაინ საინფორმაციო პორტალებს, 76% ენდობა ბეჭდურ მედიას, 71% ენდობა საზოგადოებრივ მედიას, 61% ენდობა კომერციულ ტელევიზიას და 60% ენდობა კერძო რადიოსადგურებს (Ipsos 2023). სოციალური მედიისადმი ნდობა მნიშვნელოვნად დაბალია - 43% ენდობა YouTube-ს, 38% ენდობა Facebook-ს და მხოლოდ 16% ენდობა TikTok-ს (Ipsos 2023). მსგავსი მაჩვენებლები შეინიშნება ბალტიისპირეთის დანარჩენ ორ ქვეყანაშიც (Ipsos 2023). საჯარო ინსტიტუტებიც ასევე შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობენ ესტონეთში: 74% ენდობა პოლიციას, 62% ენდობა სასამართლოებს და სასამართლო სისტემას, მაგრამ მხოლოდ 38% ენდობა ეროვნულ მთავრობას (OECD 2024). ასევე მნიშვნელოვნად მაღალია სოციალური ნდობა, 2023 წლისთვის მოსახლეობის 60% ამბობდა, რომ ენდობა „სხვა ადამიანებს“ (OECD 2024). მეორეს მხრივ, აღსანიშნავია, რომ ესტონეთის პოლიტიკური პარტიები ყველაზე ნაკლებად სანდო ინსტიტუტებს შორის არიან, 2023 წლის OECD კვლევის მიხედვით, მათ მიმართ ნდობას მოსახლეობის მხოლოდ 17% გამოხატავს (OECD 2024).

შეჯამებისათვის, მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ქართული საზოგადოება კვლავ რჩება ძალიან დაუცველი ადგილობრივი და უცხოური საინფორმაციო საფრთხეების მიმართ პოლიტიკური პოლარიზაციის, ტრადიციული მედიისადმი დაბალი ნდობისა და სამთავრობო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ სკეპტიციზმის გამო. ამ ფაქტორთა ერთობლიობა საზოგადოების მედეგობის შედარებით დაბალ ხარისხზე მიუთითებს, რაც საქართველოს მგრძნობიარეს ხდის როგორც გარე, ისე შიდა დეზინფორმაციული კამპანიების მიმართ. საქართველოში ინფორმაციული საფრთხეების მიმართ საზოგადოების მედეგობის გაძლიერება მიზანმიმართულ შრომას საჭიროებს მედიისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის აღსადგენად, ასევე აუცილებელია მედიაწიგნიერების ხელშეწყობაც, რათა მოქალაქეები ყალბი ამბებისგან სანდო ინფორმაციის გარჩევისთვის საჭირო საშუალებებით აღიჭურვონ.

ადგილობრივი პრაქტიკა და აღქმა საინფორმაციო საფრთხეებზე: ძირითადი ინსტრუმენტები და აქტორები

საქართველოში გარკვეულწილად არსებობს საინფორმაციო საფრთხეებზე რეაგირებისთვის საჭირო საკანონმდებლო და ფორმალური ჩარჩოები. სტრატეგიული დოკუმენტები არსებობს ქაღალდზეც, თუმცა მათი განხორციელება მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაპირისპირებისა და პოლარიზაციის საგანია. ამიტომ, მიუხედავად მყარი საკანონმდებლო საფუძვლისა, საქართველო რჩება ყველაზე დაუცველ ქვეყნებს შორის უცხოური და ადგილობრივი საინფორმაციო საფრთხეების მიმართ. ამას განაპირობებს როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები.

ოფიციალურად, საქართველოში საინფორმაციო საფრთხეებზე რეაგირების რამდენიმე სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამოქალაქო ინსტრუმენტი არსებობს. თუმცა, ამ მექანიზმების ეფექტიანობა შეზღუდულია მათი არათანმიმდევრული გამოყენებისა და ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობის გამო. შიდა და გარე აქტორების მხრიდან მავნე გავლენების ზრდასთან ერთად, სახელმწიფოს ინსტიტუციური რეაგირება არაადეკვატური და ფრაგმენტულია. მთავრობა, საკუთარ პოლიტიკის დოკუმენტებში, ვერ აღიარებს მკაფიოდ, რომ რუსული დეზინფორმაცია საფრთხეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდები უკვე დიდი ხანია შექმნილია, მათ აკლიათ პროაქტიულობა და ცუდად არიან კოორდინირებული როგორც მთავრობის შიგნით, ისე საზოგადოების სხვა სექტორებთან. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამ გუნდების ცალკეული წარმომადგენლები ხშირად ერთვებიან საზოგადოებასთან ურთიერთობის (pr) პარტიულ კამპანიებში მმართველი პარტიის სახელით (Devdariani, Adzinbaia 2019). ზოგადად, სტრატეგიული კომუნიკაციების ინსტრუმენტების უფრო ეფექტურ გამოყენებას დეზინფორმაციის საფრთხეების შეკავება შეუძლია. რაოდენ ნაკლოვანიც არ უნდა იყოს მათი იმპლემენტაცია, ასევე მნიშვნელოვანია, მიმოხილულ იქნას ინფორმაციული საფრთხეების წინააღმდეგ არსებული ფორმალური ინსტრუმენტები.

სამართლებრივი და ინსტიტუციური ბერკეტები

ერთ-ერთი უახლესი დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივ და უცხოურ საინფორმაციო საფრთხეებს ეხება, საქართველოს მთავრობის 2024-2027 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიაა, რომელიც, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით (2004), დეზინფორმაციისა და მისი არხების იდენტიფიცირების მიზნით მედია მონიტორინგის ერთეულებს ქმნის (2023). სტრატეგია საინფორმაციო საფრთხეებად განსაზღვრავს იმ ტიპის ინფორმაციას, რომელიც „საზოგადოებრივ ერთობას არღვევს, დისკრედიტაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს და ევროპულ/ევროატლანტიკურ ინტეგრაციას“ (2023). კიდევ ორი კანონი, რომელიც ინფორმაციულ ინფრასტრუქტურას მანიპულაციისა და კიბერთავდასხმებისგან/ტერორიზმისგან იცავს არის კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ (2012) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999).

იმის გათვალისწინებით, რომ კიბერშეტევები საინფორმაციო ომის ჩვეულებრივი ფორმაა, მთავრობამ კიბერუსაფრთხოების სპეციალური ბიურო შექმნა და საქართველოს კიბერ-უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია შეიმუშავა 2021-2024 წლებისთვის (2021). ეს სტრატეგია აღიარებს, რომ რუსეთის ფედერაცია საინფორმაციო ომს აწარმოებს, რაც პროპაგანდასაც მოიცავს და დეზინფორმაციას საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის, რაც თავის მხრივ, სერიოზულ გამოწვევას უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას (2021). სამართლებრივ და სტრატეგიულ დოკუმენტებში საფრთხეების კარგად განსაზღვრის მიუხედავად, საქართველოში საინფორმაციო საფრთხეების ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად ძალიან ცოტა ხელშესახები ღონისძიება გატარდა. პირიქით, ზოგიერთი ექსპერტი საქართველოს ხელისუფლებას დეზინფორმაციის ისეთივე წყაროდ მიიჩნევს, როგორც დეზინფორმაციის მსხვერპლად (ცეცხლაძე 2023).

საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ 2021-2025 წლებისთვის არის ასეთი დოკუმენტების სტრატეგიული გამოყენების საილუსტრაციო მაგალითი დემოკრატიული და პროდასავლური ფასადის ასაგებად (საქართველოს მთავრობა 2024). თვალსაჩინო მაგალითია ამოცანა 1.1.3, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების მხარდაჭერის გაზრდას იმ რწმენისთვის, რომ „ევროკავშირი უზრუნველყოფს საქართველოს ტრადიციების შენარჩუნებას“. თუმცა, ეს მიზანი მკვეთრად ეწინააღმდეგება მმართველი პარტიის, ქართული ოცნების, რიტორიკას, რომელიც ხშირად ძირს უთხრის ამგვარი მიზნების შესრულებას.

მეტიც, ამ სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების შესახებ წარმოებული მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან მუდმივად ხაზს უსვამს ხელისუფლების მხრიდან ჭეშმარიტი პოლიტიკური ნების არარსებობას დასახული მიზნების განსახორციელებლად. მაგალითად, სტრატეგიის 2017-2020 წლების ვერსია არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეისწავლეს, რამაც ქართული ოცნების მთავრობის მხრიდან გამჭვირვალობისა და საკუთარი ვალდებულებების გააზრების მნიშვნელოვანი დეფიციტი გამოავლინა. ამ დეფიციტის თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტი, რომ მედიის განვითარების ფონდს (MDF) სასამართლოსთვის მიმართვა დასჭირდა, რათა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სამთავრობო დოკუმენტები მოეპოვებინა (MDF 2021).

2021-2025 წლების სტრატეგიის განხორციელება არაადეკვატური და არაეფექტურია. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ Facebook-მა ის ძირითადი სამთავრობო ორგანო, რომელიც სტრატეგიული კომუნიკაციის კოორდინაციაზეა პასუხისმგებელი, ტროლირების გამოყენებასა და დეზინფორმაციის გავრცელებაში ჩართულობაში ამხილა და დააჯარიმა. ეს ფაქტი ხაზს უსვამს შეუსაბამობას სტრატეგიის დადგენილ მიზნებსა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა რეალურ საქმიანობას შორის (IPN 2023).

საქართველოს მთავრობის ამგვარი ქცევა უფრო ღრმა სტრუქტურულ და პოლიტიკურ გამოწვევებს ავლენს, რაც საქართველოს საკომუნიაციო სტრატეგიის დემოკრატიულ ღირებულებებთან და დასავლეთთან ინტეგრაციასთან შესაბამისობაში მოყვანას უკავშირდება.

სამოქალაქო ინსტრუმენტები

2017 წელს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით, მედიაწიგნიერების ხელშეწყობა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი სკოლებში, უმთავრეს პრიორიტეტად დასახელდა. ამას კოორდინაციას უწევდა სახელმწიფო კომუნიკაციების კომისია (ცეცხლაძე 2023). მოცემული პრიორიტეტიდან გამომდინარე და დასავლელი დონორების მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერით, ბევრმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ მედიაწიგნიერების არა ერთი პროგრამა განახორციელა როგორც სასწავლო, ისე ვიზუალური საშუალებების დახმარებით. მედიაწიგნიერების გაზრდა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა ავთენტური ინფორმაციის ყალბი ამბებისგან განსასხვავებლად და ინფორმაციისადმი საზოგადოების ფსიქოლოგიური დაუცველობის შესამცირებლად. სხვა მრავალ საშუალებას შორის, საქართველოში ორი პლატფორმა განსაკუთრებით აქტიურია საზოგადოებისთვის ფაქტებისა და არგუმენტების მიწოდებით ყალბი ინფორმაციის მხილებაში: ფაქტების შემოწმებისა (factcheck.ge) და მითების დეტექტორის (mythdetector.ge) პლატფორმები. ეს პლატფორმები ძირითადად ფოკუსირებულია პრესის ან სოციალური მედიის მიერ გავრცელებული ყალბი ამბების აღმოჩენაზე. მიუხედავად მათი მაღალი ღირებულებისა, მათი პოსტები ფართოდ ვერ შუქდება, რადგან ისინი ძირითადად სოციალურ მედიაში ვრცელდება და არა ტელევიზიით. ტელევიზია კი ჯერ კიდევ რჩება ინფორმაციის მთავარ წყაროდ საქართველოში (CRRC 2024).

შეუსაბამობები დეკლარირებულ პოლიტიკასა და პრაქტიკას შორის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად არის შეუსაბამობები ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებსა და მათ მიერ განხორციელებულ რეალურ პოლიტიკას შორის. ეს შეუსაბამობა საქართველოს მთავარი საერთაშორისო პარტნიორებისთვისაც შესამჩნევი გახდა. East StratCom Task Force-მა, ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის განყოფილებამ, ცოტა ხნის წინ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც აკრიტიკებს საქართველოს მთავრობის ცვალებად საინფორმაციო პოლიტიკას და რიტორიკას, რომელიც „უფრო მკაფიო და ღია ბრალდებებზე გადავიდა დასავლეთის - განსაკუთრებით კი აშშ-სა და ევროკავშირის მიმართ" (EUvsDisinfo 2024).

მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ დაინიცირებულმა კანონებმა, რომლებიც უცხოურ გავლენას ეხება და ლგბტქ საზოგადოების უფლებების შეზღუდვას ისახავს მიზნად, კრემლის მხარდამჭერი და ანტიდასავლური ნარატივები გააძლიერა ქვეყნის შიგნით (EUvsDisinfo 2024). „ქართული ოცნების“ რიტორიკა საქართველოში ხშირად იმეორებს პრო-კრემლურ წყაროებს, მათ შორის საშინაო საქმეებში საგარეო ჩარევის შესახებ. სხვა გავრცელებული ტიპის ბრალდებაა, რომ დასავლელი პოლიტიკოსები მხარს უჭერენ რადიკალურ ოპოზიციას და რომ არსებობს "გლობალური ომის პარტიის" კონსპირაცია და ის მიზნად ისახავს საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩათრევას (EUvsDisinfo 2024).

ეს ნარატივები არა მხოლოდ ძირს უთხრის საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობებს, არამედ ხელს უწყობს ქვეყანაში არალიბერალური აქტორების გავლენის გაზრდას, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი. მსგავსი რიტორიკა იმის რისკებს აჩენს, რომ საქართველო დასავლელი პარტნიორებისგან გაუცხოვდეს, და დამაპირისპირებელი, ავტორიტარული ნარატივები გაძლიერდეს, რაც დემოკრატიულ მმართველობას დაასუსტებს.

ქართული მედიისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული წრეების აღქმა საინფორმაციო საფრთხეებთან დაკავშირებით

საინფორმაციო საფრთხეები მედიის გადმოსახედიდან

მედია გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოში როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური საინფორმაციო საფრთხეების გავრცელებისა და შერბილების კუთხით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების მედეგობაზე. მედიის ცხრა წარმომადგენელთან ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფმა საინფორმაციო საფრთხეებსა და მათ საპირწონე მექანიზმებზე მსჯელობისას შემდეგი სახის საერთო დეზინფორმაციული ნარატივები გამოავლინა:

- განცხადებები, რომ ევროკავშირის ღირებულებები ქართულ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში მოდის.
- მტკიცება იმის შესახებ, რომ რუსეთი უკრაინაში ნატოს გაწევრიანების ამბიციების გამო შეიჭრა.
- „გლობალური ომის პარტიის“ ნარატივი.
- ბრალდებები იმის შესახებ, რომ ოპოზიციური ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ეროვნულ უსაფრთხოებას.
- ომის შიშის გამომწვევი ნარატივები.
- განცხადებები იმის შესახებ, რომ „კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ამერიკული წარმოშობისაა.
- საზოგადო მოღვაწეების ციტატების გაყალბება.
- სექსუალურ უმცირესობებზე მიმართული დეზინფორმაცია.

(ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, ზაუტაშვილი 2024; დალაქიშვილი 2024)

ეს ნარატივები დეზინფორმაციის მრავალმხრივ და ყოვლისმომცველ ბუნებას ასახავს, რომლის მიზანიცაა ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საქართველოში არსებული რწმენის შერყევა და შიდა უთანხმოების გამწვავება.

დეზინფორმაციის იდენტიფიციჰებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული გამოწვევები

ფოკუს ჯგუფში მონაწილე ჟურნალისტებმა აღწერეს ის ზომები, რომლებსაც ისინი იყენებენ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად: საგამოძიებო ჯგუფების შექმნა, ვიზუალური მინიშნებების ამოცნობა და ვებგვერდის სანდოობის გადამოწმება. მედიის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ მიუხედავად ამ ძალისხმევისა, დეზინფორმაცია კვლავაც ახდენს გავლენას მათ მუშაობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყალბი ნარატივები იმდენად ჰგავს სიმართლეს, რომ დამაჯერებელი ჩანს. ეს ხაზს უსვამს ინფორმაციის მიწოდების სიჩქარის სიზუსტით დაბალანსების მუდმივ გამოწვევას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ახალი ამბების სწრაფად განახლების მოლოდინია.

ზაკაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ხარისხისა და ავთენტურობისთვის პრიორიტეტის მინიჭების მიუხედავად, საგანგებო სიტუაციებში ხშირად საჭიროა უფრო სწრაფი რეაგირება, რაც გადამოწმების უფრო დაბალ სტანდარტს გულისხმობს (FG Media, Zakashvili 2024). გელაშვილმა იმ ზეწოლაზე ისაუბრა, რაც ჟურნალისტებზე მოდის, რომ პირველებმა გაავრცელონ ამბავი, რის გამოც ხშირად ნაკლები შესაძლებლობაა, სათანადოდ გადაამოწმონ წყაროები. ასეთ სიტუაციებში სანდო წყაროების ციტირება და ანგარიშვალდებულება კრიტიკულია. ვარდიაშვილი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი კონტექსტის ზუსტი აღქმა ასევე აუცილებელია დეზინფორმაციის ლეგიტიმური ნარატივისაგან განსასხვავებლად, განსაკუთრებით ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციებში, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი (ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, გელაშვილი, ვარდიაშვილი 2024).

ინფორმაციის გავრცელებაზე მოქმედი ფაქტორები

პოლიტიკა, პოლიტიკური წნეხი და პროფესიონალიზმის ნაკლებობა ის ძირითადი ფაქტორებია, რაც ინფორმაციის გავრცელებაზე ზემოქმედებს საქართველოში. ხშირად რთულია, განასხვავო საშინაო და გარე მანიპულაცია, რადგან ეს ორი ღრმად არის გადაჯაჭვული. მაგალითად, შიდა პრო-სამთავრობო წყაროებიდან მომდინარე ანტიდასავლური ნარატივები ხშირად წარმოაჩენს დასავლეთს როგორც ქართული ღირებულებების მტერს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიას კი - არეულობის გამომწვევებს. ამ ნარატივებს ადვილად იყენებენ გარე ანტიდასავლური ძალები (ძირითადად რუსეთი), რათა ძირი გამოუთხარონ საზოგადოების მხარდაჭერას საქართველოს დასავლურ ინსტიტუტებთან დაახლოების პროცესში.

დალაქიშვილმა ხაზი გაუსვა, თუ როგორ ამძაფრებენ დაბნეულობას გარკვეული სატელევიზიო არხები პოტენციური სცენარების სენსაციონალიზაციის და საზოგადოებაში არარეალური მოლოდინების შექმნის გზით. როდესაც მოსალოდნელი ცვლილებები მყისიერად არ დგება, საზოგადოება იმედგაცრუებულია (ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, დალაქიშვილი 2024).

შიდა და გარე გავლენების უერთიერთდაკავშირებულობა

ვარდიაშვილმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარე და შიდა გავლენები ქართულ მედიაზე ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და ურთიერთდამოკიდებულია. მაგალითად, დეზინფორმაცია, რომელიც ევროკავშირში კორუფციას ინტეგრაციის საწინააღმდეგო არგუმენტად იყენებს, გარე ნარატივია, რომელიც საშინაო ასპარეზზეც ახდენს აზრის ფორმირებაზე გავლენას (ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, ვარდიაშვილი 2024). ქოქოშვილმა ასევე შენიშნა, რომ ხელისუფლების რიტორიკა ხშირად ევროპას და ზოგადად დასავლეთს, არასანდო აქტორებად წარმოაჩენს, მაშინ, როდესაც პარალელურად, ევროკავშირში გაწევრიანების დაპირებებს იძლევა, ეს კი დაბნეულობას იწვევს. ამგვარმა არეულმა გზავნილებმა არაერთ ადამიანს უბიძგა იქითკენ, რომ ქართულ ოცნებას უბრალოდ იმის გამო დაუჭიროს მხარი, რომ ეს ასე უფრო ხელსაყრელია, უგულებელყოს რა ის სკეპტიციზმი, რაც მისი ნარატივის პროევროპულობის ავთენტურობისადმი არსებობს (ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, ქოქოშვილი 2024).

ფსიქოლოგიური მედეგობის შენება

საზოგადოების მედეგობის გაზრდასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე მედიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას. ზაკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა პასუხისმგებლიანი გაშუქების ღირებულება და სენსაციონიზმის თავიდან აცილების მნიშვნელობა, რამდენადაც ის საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში ნდობის ჩამოყალიბებას და ამცირებს ფსიქოლოგიურ მედეგობას. ქელბაქიანმა დასძინა, რომ მედიის როლი ფაქტების გადამოწმებას უნდა გასცდეს, ხსნიდეს კონტექტს და მოვლენათა ფართო შედეგებს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოებას ამბავი სრულფასოვნად მიეწოდება და არა კონტექსტისაგან დაცლილად (ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, ზაკაშვილი, ქელბაქიანი 2024).

ჟიჟილაშვილი ამტკიცებდა, რომ ჟურნალისტები აქტიურად უნდა დაუპირისპირდნენ დეზინფორ-მაციას სოციალური მედიის საშუალებით, უშუალოდ ესაუბრონ აუდიტორიას და აუხსნან, როგორ მუშაობს დეზინფორმაციის კამპანიები. თარგამაძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული გამოწვევა უფროს თაობაში დამოკიდებულების შეცვლა იქნებოდა, მათი აღქმების მანიპულირება ხშირად უფრო ადვილად ხდება მათში ღრმად ფესვგადგმული შიშებისა და სოციალურ საკითხებზე კონსერვატიული შეხედულებების გამო. ამ შიშების გასაქარწყლებლად, მათი იგნორირების ნაცვლად, კონსტრუქციული კომუნიკაციაა საჭირო, განსაკუთრებით მათთან, ვინც სახელმწიფო დახმარებაზე არიან დამოკიდებული (ფოკუს-ჯგუფი მედიასთან, ჟიჟილაშვილი, თარგამაძე 2024).

საერთო ჯამში, მაშინ, როდესაც ჟურნალისტებს კარგად ესმით თავიანთი როლის შესახებ საინფორმაციო საფრთხეების გავრცელებასა და შერბილებაში, ისინი ასევე იაზრებენ, რომ პოლიტიკურ პოლარიზაციას არსებითი გავლენა აქვს მათ საქმიანობაზე და ობიექტურად მაუწყებლობის საშუალებას უზღუდავთ.

უსაფრთხოების ექსპერტთა მოსაზრება საინფორმაციო საფრთხეებზე

უსაფრთხოების ექსპერტებმა ერთმანეთის მოსაზრებები გაიმეორეს საზოგადოების კეთილდღეობასა და დემოკრატიულ მონაწილეობაზე საინფორმაციო საფრთხეების მავნე გავლენის შესახებ. ისინი საინფორმაციო ომს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევენ რუსეთის ხელში, რომელიც მიზნად ისახავს დაასუსტოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა და შეაფერხოს ინტეგრაცია დასავლეთთან. დეზინფორმაციის გავრცელებამ ნიჰილიზმი, საზოგადოებრივი აპათია და ცვლილებების შიში გააძლიერა, რაც განსაკუთრებით გამოხატულია სოფლად, სადაც დასავლური ღირებულებები ხშირად მხოლოდ ისეთ კონტრავერსულ სოციალურ საკითხებთანაა გაიგივებული, როგორიცაა ლგბტ+ უფლებები (ინტერვიუ, გოცირიძე და სიხარულიძე 2024; ინტერვიუ, ლორთქიფანიძე 2024).

რუსეთი საგარეო და ადგილობრივი საინფორმაციო საფრთხეების უკან მდგარი მთავარი ძალაა. თუმცა ეს ზღვარი მთავრობასა და გარე გავლენას შორის ზოგჯერ ბუნდოვანია. ექსპერტების აზრით საქართველოს მმართველი პარტია რუსული გავლენის მთავარი გამტარად გვევლინება, რაც ზოგჯერ ძალიან ართულებს ერთმანეთსგან გაიმიჯნოს შიდა მმართველი ელიტისა და უცხოური წყაროებიდან მომდინარე ინტერესები, ნარატივები.

ევგენი პრიგოჟინის გარდაცვალების შემდეგ არის მცდელობები, გაანალიზდეს, როგორ შეიცვალა რუსეთის მხრიდან გავლენის მოხდენის სტრატეგიები. მაგალითად, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, რუსული ოპერაციები ე.წ. „ორეულის“ მიდგომას მიჰყვება. ეს სტრატეგია გულისხმობს დიდი რაოდენობით დეზინფორმაციული შინაარსის გავრცელებას ისე, რომ ამოცნობაზე ნაკლებად იღელვონ. ამ სტრატეგიის მიზანი არა მხოლოდ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებაა, არამედ იმ ადამიანების რესურსული გამოფიტვა, ვინც ფაქტების შემოწმებასა და ყალბი ნარატივების გაბათილებაზე მუშაობენ. მიზანი მეტი ყურადღების მიპყრობაა, ფართო ხილვადობა და მედია-დაფარვა, თუნდაც ნეგატიური კუთხით შუქდებოდეს ამბავი, ამით რუსული საფრთხეები საჯარო დისკურსის მთავარ თემად ნარჩუნდება (ინტერვიუ, პამმენტი 2024).

საინფორმაციო მანიპულაციის ძირითადი ნარატივები

ექსპერტებმა რამდენიმე დეზინფორმაციული ნარატივი გამოავლინეს, რომელიც მნიშვნელოვნად ასუსტებს ფსიქოლოგიურ მედეგობას და არასტაბილურ უსაფრთხოების გარემოს აყალიბებს:

- ინტეგრაცია დასავლეთთან ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვას იწვევს.
- ხელისუფლების შეცვლა რუსეთთან ომს გამოიწვევს, რაც სავარაუდოდ, დასავლური ძალების მიერ იქნება წახალისებული.
- „გლობალური ომის პარტიის“ ნარატივი, რომლის მიხედვითაც დასავლელ აქტორებს საქართველოს კონფლიქტში ჩართვა სურთ.

უსაფრთხოების ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ეს ნარატივები როგორც რუსეთის მიერ დაფინანსებული სუბიექტების, ისე საქართველოს მთავრობასთან დაკავშირებული აქტორების მეშვეობითაც ვრცელდება, რაც ხაზს უსვამს ამ გავლენების ღრმად გადაჯაჭვულ ბუნებას. ეს ქმნის სიტუაციას, როდესაც ხელისუფლების პოზიციასთან დაახლოებული ნარატივები ხშირად ემთხვევა და აძლიერებს კრემლის გზავნილებს და ართულებს საინფორმაციო საფრთხეებთან ბრძოლას (ინტერვიუები, გოცირიძე, სიხარულიძე, ძებისაშვილი, ლორთქიფანიძე 2024).

საინფორმაციო მანიპულაციასთან გამკლავების წყაროები და საშუალებები

დეზინფორმაციის გავრცელების პირველი წყაროა თავად მთავრობა და მასთან დაკავშირებული მედია, ასევე რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურთან დაკავშირებული ორგანიზაციები, როგორიცაა ალტ-ინფო. ამ მანიპულაციებთან გამკლავებისთვის ექსპერტები საჭიროდ მიიჩნევენ ერთიანი საზოგადოების მიდგომის გამოყენებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და სამართლებრივ ჩარჩოებს. ეს მიდგომა იდეალურად გააერთიანებდა სამართლებრივ რეაგირებებს საგანმანათლებლო პროგრამებთან საზოგადოების ინფორმირებულობისა და მედიაწიგნიერების გაზრდის მიზნით (ინტერვიუები, სიხარულიძე, ძებისაშვილი 2024).

უსაფრთხოების ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებას და მედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. პოლიტიკურმა პარტიებმა სწრაფად უნდა უპასუხონ დეზინფორმაციას თავიანთ პლატფორმებზე, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია კრიტიკული აზროვნების უნარებითა და მედიაწიგნიერებით გააძლიეროს ხალხი. მედია ორგანიზაციებმა პრიორიტეტი ზუსტ გაშუქებასა და ფაქტების გადამოწმებას უნდა მიანიჭონ, თუნდაც იქ, სადაც უაღრესად პოლარიზებულია გარემო და ბევრი გამოცემა ღიად ოპოზიციურია. ეს ცვლილება მედიის როლში, წმინდა საინფორმაციო საშუალებიდან ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ნარატივების ოპონენტად გადაიქცეს, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას კიდევ უფრო ართულებს (ინტერვიუ, გოცირიძე 2024). ყველა პოლიტიკურმა მხარემ, განსაკუთრებით კი ხელისუფლებამ, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს დეზინფორმაციისა და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება ან/და მხარდაჭერა.

მედიის მონიტორინგის ინსტრუმენტები არსებითია ნატოსთვის საზოგადოებრივი აზრის შესაფასებლად როგორც წევრ, ისე პარტნიორ ქვეყნებში. ამ მექანიზმებით განუწყვეტლივ ხდება საუბრების, განწყობებისა და ტენდენციების ანალიზი, რაც ნატოს რეალურ დროში აწვდის ინფორმაციას საზოგადოების აღქმების შესახებ. განგრძობად ტენდენციებსა და იზოლირებულ შემთხვევებს შორის განსხვავების აღმოჩენით, მედიის მონიტორინგი ნატოს ეხმარება ცვლილება შენიშნოს ალიანსისადმი დამოკიდებულებაში ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო. უკუკავშირის ეს მუდმივი ციკლი ნატოს საშუალებას აძლევს დახვეწოს თავისი საკომუნიკაციო სტრატეგიები და საზოგადოების მხარდაჭერა შეაფასოს, იმისთვის, რომ შემდეგ სტრატეგიული გზავნილები და დიპლომატიური ურთიერთობები ამის მიხედვით წარმართოს. ახლად ჩამოყალიბებული ტენდენციების - იქნება ეს პოზიტიური, ნეიტრალური თუ კრიტიკული - ადრეულად გამოვლენის გზით ნატო-ს შეუძლია უფრო ეფექტურად უპასუხოს და შეინარჩუნოს ან გააძლიეროს საკუთარი გზავნილები, იმის მიხედვით, თუ როგორ მოარგებს საკუთარ კომუნიკაციას საზოგადოებრივი განწყობებს ნატოს გლობალურ ქსელში. ამგვარად, მედიის მონიტორინგი „რბილი დაზვერვასავით" მუშაობს, რაც ნატოს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ რეაგირებდეს ცვლილებებზე, არამედ პროაქტიულად წარმართავდეს საკუთა საჯარო დიპლომატიას (ინტერვიუ, პამმენტი 2024).

ევროკავშირისა და ნატოსგან საუკეთესო პრაქტიკის გადაღება - იქნება ეს სისტემატური სამთავრობო სტრატეგიების თუ იურიდიული და საგანმანათლებლო პრაქტიკის კუთხით, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს, აკადემიურ წრეებსა და საერთაშორისო აქტორებსაც ჩართავს - გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საინფორმაციო საფრთხეებთან ბრძოლა მოითხოვს ცნობიერების ამაღლების პროაქტიულ კამპანიებსა და მოსახლეობის ფართო სეგმენტში მედიაწიგნიერების გაზრდას (ინტერვიუ, სიხარულიძე 2024).

ესტონეთის გამოცდილება: რუსული გავლენისადმი მედეგობა

იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ შეუძლია საქართველოს, გაზარდოს მედეგობა ინფორმაციული საფრთხეების მიმართ, შეგვიძლია იგი შევადაროთ სხვა მცირე სახელმწიფოებთან, რომლებიც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. ესტონეთი, ისევე როგორც საქართველო, ათწლეულებია რუსეთის მხრიდან სხვადასხვა გავლენის მქონე კამპანიების სამიზნეა. თუმცა, ესტონეთში ამ საფრთხეების შესამცირებლად მტკიცე რეაგირების სტრატეგიები არსებობს. შემდეგ სექციაში განხილულია ესტონეთის ის ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომები რუსული გავლენების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც საქართველოსთვის ინფორმაციისა და მნიშვნელოვანი შთაგონების წყარო უნდა იყოს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ესტონეთი გამუდმებით რუსეთის მავნე გავლენებს ებრძვის. მოსკოვი მუდამ იყენებდა თავის რჩეულ ინსტრუმენტს - რუსულენოვან „თანამემამულეებზე" ზემოქმედება და ისტორიული ნარატივებით მანიპულირება - ესტონეთში შიდა განხეთქილების გამოსაწვევად. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ესტონეთმა მოახერხა, რომ გამჭვირვალობით, მთავრობის კოორდინირებული ქმედებებითა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობით საკუთარი მედეგობა გამოემუშავებინა რუსული გავლენის მიმართ.

ესტონეთის გამოცდილება ჩუსეთის ჩახევისას

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ესტონეთი გამუდმებით ცდილობდა რუსეთიდან მომდინარე მავნე გავლენებისთვის წინააღმდეგობა პროაქტიულად გაეწია. მოსკოვი გამუდმებით ცდილობდა ესტონეთის დესტაბილიზაციას ისეთი მოწყვლადობების ხარჯზე, როგორიცაა რუსულენოვანი უმცირესობები და ისტორიული ნარატივებით მანიპულირება. მიუხედავად რუსეთის შეუჩერებელი მცდელობისა, ესტონეთმა შეძლო ეფექტურად შეემცირებინა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები გამჭვირვალობის, თანმიმდევრული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური ჩართულობის გზით.

ესტონეთმა აჩვენა, თუ როგორ შეუძლია ინტეგრირებულ ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც როგორც საჯარო, ისე კერძო აქტორებს აერთიანებს, საზოგადოების მედეგობა გააძლიეროს. ეს საქართველოში არსებული ვითარების საპირისპირო მდგომარეობაა, აქ მთავრობა და მმართველი პარტია აქტიურ როლს ასრულებენ რუსული დეზინფორმაციული ნარატივების შემუშავებაში, გაძლიერებასა და მათ თანმიმდევრულად გავრცელებაში, რითიც განზრახ უთხრიან ძირს ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას. გარდა ამისა ისინი ცდილობენ დასავლეთი მტრად გამოაცხადონ და დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დისკრედიტაცია და ავტორიტარული მმართველობის კონსოლიდაცია მოახდინონ. საქართველოსგან განსხვავებით, ესტონეთის კოორდინირებული სტრატეგია იმას გულისხმობს, რომ სამთავრობო უწყებები, დამოუკიდებელი მედია და სამოქალაქო საზოგადოების აქტორები, ერთობლივად მუშაობენ საზოგადოების მედეგობის მისაღწევად. ეს ჰოლისტური მიდგომა ძალიან განსხვავდება საქართველოში ფრაგმენტული რეაგირებებისაგან, რითიც ერთობლივი საპირწონე ღონისძიებების მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტი ყურადღება ენიჭება.

გამოჩენილი შემთხვევა: ბრინჯაოს ჯარისკაცის ინციდენტი

რუსეთის ჩარევის წინააღმდეგ ესტონეთის მედეგობის მნიშვნელოვანი მაგალითია ბრინჯაოს ჯარისკაცის ძეგლის გადატანის გარშემო მომხდარი სკანდალი 2007 წელს. ცენტრალური ტალინიდან სამხედრო სასაფლაოზე გადაიტანეს ძეგლი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა ჯარისკაცს განასახიერებდა. ამ გადაწყვეტილებამ რუსულენოვანი უმცირესობების გამოსვლები გამოიწვია, რის შემდეგაც, რუსეთის მხრიდან კოორდინირებული კიბერშეტევაც განხორციელდა. ეს იყო ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი პირველი მაგალითი, სადაც შეცდომაში შემყვან ინფორმაციასა და დიპლომატიურ ზეწოლასთან ერთად, კიბერ ტაქტიკაც იქნა გამოყენებული, ქვეყნის დესტაბილიზაციის მიზნით.

მოსკოვმა ძეგლის ემოციურ მნიშვნელობაზე მოახდინა კაპიტალიზება, გაავრცელა რა ცრუ ნარატივები დაპირისპირების გასაღვივებლად. გავრცელდა ჭორები, რომ ქანდაკება განადგურდებოდა, ამან კი ქუჩაში გამოსვლები გამოიწვია. კრიზისის დროს ესტონეთის ხელისუფლების მხრიდან წარმოებულმა გამჭვირვალე კომუნიკაციამ მავნე შედეგების უკუგდებას შეუწყო ხელი, რამაც დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ მკაფიო და აქტიური საჯარო შეტყობინებების მნიშვნელობაც აჩვენა. გარდა ამისა, არეულობებზე ესტონეთის მთავრობის სწრაფმა რეაგირებამ, მათ შორის პოლიციის გამოჩენამ და საზოგადოების დარწმუნებამ ქანდაკების ახალი ადგილმდებარეობის შესახებ, ის აჩვენა, თუ როგორ შეუძლია დეზინფორმაციული კამპანიების განმუხტვა დროულ ჩარევებს.

საქართველოსთვის ეს გამჭვირვალობის საჭიროებასა და კრიზისის დროს პროაქტიული კომუნიკაციის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. განსაკუთრებით კი - ისეთ სიტუაციებში, როდესაც მაღალია იმის ალბათობა, რომ გარე აქტორები ემოციურ ნარატივებს ჩაეჭიდებიან. ბრინჯაოს ჯარისკაცის კრიზისის ეს გამოცდილება აჩვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი სწრაფ და გამჭვირვალე კომუნიკაციასთან ერთად, მთავრობისა და სამოქალაქო ორგანოების კოორდინირებული მოქმედებებით, დეზინფორმაციის პრევენცია და დაძაბულობის ესკალაცია (Juurvee, Mattiisen 2020).

ახჩევნებში ჩახევა და ფიზიკუხი დაშინება

ბოლო წლებია ესტონეთს ისევ უწევს რუსეთის მხრიდან მავნე გავლენის მქონე კამპანიებთან გამკლავება. 2023 წელს ესტონეთის ორ მოქალაქეს, რუს აგენტებთან თანამშრომლობით ესტონეთის სუვერენიტეტის შელახვის გამო, ღალატში დასდეს ბრალი. ეს პირები ორგანიზებას უწევდნენ სოციალურ მოძრაობებს, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ნარატივებს ავრცელებდა ესტონეთში და ფაქტობრივად კრემლის მარიონეტი იყო ქვეყნის შიგნით.

ასეთი ინციდენტები სამართლებრივი მექანიზმების მნიშვნელობას გამოკვეთს დეზინფორ-მაციისა და უცხოური ჩარევის წინააღმდეგ საბრძოლველად. ესტონეთმა ეფექტურად გამოიყენა თავისი სასამართლო სისტემა და მკაცრი ზომები მიიღო იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ეროვნულ სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიდნენ. იმგვარ დანაშაულში მონაწილეთა დევნა, რომელიც ძირს უთხრის ქვეყნის სტაბილურობას, შეუწყნარებლობის საჯაროდ დემონსტრირებისთვის გაკეთდა. საქართველოში ასეთ გარე ჩარევებზე რეაგირება, ხშირად, თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილი არ არის და სუსტია როგორც პოლიტიკური ნების ნაკლებობის, ისე სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხის გამო. მეორე მხრივ, ესტონეთი გვთავაზობს მტკიცე საკანონმდებლო გზებს, რათა მსგავსი ქცევები არ განმეორდეს.

ფიზიკური ტერორი კიდევ ერთი მეთოდია, რომელსაც რუსეთი იყენებს, რაც განხორციელდა ცნობილ ესტონელ პოლიტიკურ ფიგურებზე თავდასხმის დროს. ამის მაგალითია ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მანქანის ვანდალური დაზიანება 2023 წელს. სამართალდამცავების მხრიდან მყისიერმა გამოძიებამ და დაპატიმრებებმა, რომელიც მას მოჰყვა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, თუ რა როლი აქვს ძლიერ სამართლებრივ რეაგირებებს საზოგადოებაში ნდობის შესანარჩუნებლად და მომავალი ინციდენტების თავიდან ასარიდებლად. ამის საპირისპიროდ, ქართულ კონტექსტში ხშირად გვაკლია სიცხადე და მსგავს პროვოკაციებზე მთავრობის ქმედებებისადმი საზოგადოების ნდობა. აუცილებელია გამჭვირვალე და მტკიცე სამართლებრივი ქმედებები (ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი 2023).

მედია, ჰოგოჰც ფაჰი დეზინფოჰმაციის წინააღმდეგ

ესტონეთის წარმატების განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი მისი მედია პოლიტიკაა, რითიც ის ეფექტურად მართავს საინფორმაციო ლანდშაფტს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ETV+-ის დაფუძნება იყო, რუსულენოვანი არხის, რომელიც დამოუკიდებელ, სანდო ინფორმაციას აწვდის რუსულენოვან მოსახლეობას. კრემლი დიდი ხანია სარგებლობს რუსულენოვანი უმცირესობით ესტონეთში, წარმოაჩენს რა მათ დანარჩენი საზოგადოებისაგან იზოლირებულად და დეზინფორმაციისადმი მოწყვლადს. მიუკერძოებელი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ახალი ამბების შეთავაზებით, ესტონეთმა ამ დემოგრაფიულ ჯგუფზე კრემლის გავლენა შეასუსტა.

მკვეთად განსხვავდება მდგომარეობა საქართველოში - აქ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი მედიები, როგორიცაა ალტ-ინფო და “სპუტნიკ საქართველო” დეზინფორმაციას ეწევიან ძალიან მცირე მარეგულირებელი წინაღობებით. ესტონეთის მაგალითი აჩვენებს თუ რაოდენ აუცილებლობელია მტრულ ნარატივებთან გასამკლავებლად სანდო მედია საშუალებების შექმნა და პოპულარიზება.

საქართველოს ასევე დაეხმარებოდა დამოუკიდებელი რუსულენოვანი მედია არხების მხარდაჭერა, განსაკუთრებით იმ დასახლებებში, სადაც ყველაზე დაუცველნი არიან რუსული პროპაგანდის მიმართ. ასეთ დროს მოსახლეობის ყველა ჯგუფს გარანტირებული წვდომა ექნებოდა სანდო ინფორმაციაზე, რაც რუსეთის მხრიდან მხარდაჭერილი არხების გავლენას შეამცირებდა, რომელთათვისაც ძალიან ხელსაყრელი გარემოა დაურეგულირებელ მედია სივცრცეებში.

დასკვნა და რეკომენდაციები

დეზინფორმაციული საფრთხეები საქართველოში ჭარბადაა რთული გეოპოლიტიკური და შიდაპოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობის გამო. გეოპოლიტიკურად, ქვეყანა უაღრესად მყიფე რეგიონში მდებარეობს, გარშემორტყმულია რუსეთისა და სხვა არალიბერალური აქტორებით და არ გააჩნია უსაფრთხოების გარანტიები რომელიმე მთავარი აქტორისა ან ორგანიზაციისგან. საქართველოს ნატოში გაწევრიანების დიდი ხნის სწრაფვის მიუხედავად, პროგრესი შეჩერდა, რის გამოც ქვეყანა სხვა აქტორებისგან უსაფრთხოების გარანტიებისა და მთავარი მოკავშირის გარეშე დარჩა. ეს მდგომარეობა საქართველოს როგორც ჩვეულებრივი, ისე ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე და დეზინფორმაციული კამპანიებისადმი მოწყვლადს ხდის.

ქვეყნის შიგნით, ამ გეოპოლიტიკური სისუსტით, ხშირად, საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის წინ წასაწევად, პოლიტიკური აქტორები სარგებლობენ, მათ შორის საქართველოს ხელისუფლება და სხვა პოლიტიკური სუბიექტები. რაც უფრო ძლიერდება რუსეთის მხარდაჭერილი დეზინფორმაციული ნარატივები, მით უფრო სუსტდება ქვეყნის მედეგობა გარე საფრთხეების მიმართ. ეროვნული უსაფრთხოების ნაცვლად მოკლევადიანი პოლიტიკური სარგებლის არჩევით, შიდა აქტორები საქართველოს მოწყვლადობას დეზინფორმაციისა და სხვა ფორმის გარე გავლენებისადმი კიდევ უფრო ამწვავებენ, რაც ძირს უთხრის საქართველოს უნარს ეფექტური რეაგირება მოახდინოს ამ გამოწვევებზე.

მიუხედავად ქართული ოცნების წარმომადგენელთა განცხადებებისა, რომ მთავრობას არასდროს გაუვრცელებია დეზინფორმაცია ევროკავშირის ან აშშ-ს წინააღმდეგ, ბოლო წლებმა ცხადჰყო, რომ მმართველი პარტიის მხრიდან გახშირებულია საქართველოს დასავლელი პარტნიორების მიმართ მტრული რიტორიკის გამოყენება. აქ იგულისხმება დასავლეთის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა და სუვერენიტეტის შელახვის ბრალდებები. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის შიგნით არსებულმა კრემლის მხარდამჭერმა მედია საშუალებებმა დიდი მონდომებით გაიზიარეს და გაამძაფრეს მთავრობის ეს რიტორიკა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ანტიდასავლური განწყობები. მმართველი პარტიის ნარატივსა და კრემლის პროპაგანდას შორის ეს თანხვედრა არა მხოლოდ აძლიერებს რუსეთის გავლენას, არამედ ძირს უთხრის საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და ნოყიერ გარემოს ქმნის დეზინფორმაციის გავრცელებისთვის.

კვლევა გამოკვეთს საინფორმაციო საფრთხეების გავლენას საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობაზე, სოციალურ შეკავშირებულობასა და ფსიქოლოგიურ მედეგობაზე. გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს საინფორმაციო საფრთხეები არა ერთი მხრიდან ემუქრება, განსაკუთრებით კი რუსეთის მხრიდან, რომელიც საზოგადოების პოლარიზაციას, ინსტიტუციებისადმი დაბალ ნდობას და გარე მანიპულაციებისადმი დაუცველობას სათავისოდ იყენებს. კვლევის მიგნებები აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების რეაგირება საინფორმაციო საფრთხეებზე ფრაგმენტულია, ხშირად არ არის თანმიმდევრული, უგულებელყოფს საზოგადოების ერთიან მიდგომას, რაც უცხოური ჩარევის მიმართ ქვეყნის მედეგობას ასუსტებს. იმავდროულად, სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია ფინანსური რესურსები და მუშაობს მუდმივი ზეწოლისა და შევიწროების პირობებში. საქართველოს მთავრობა საინფორმაციო საფრთხეებთან გასამკლავებლად საკუთარი ნებით არ იყენებს საჭირო რესურსებს. ხშირად კი ის ამ რესურსებს დეზინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს. ესტონეთის შემთხვევა კოორდინირებული, მრავალმხრივი სტრატეგიის პოტენციურ ეფექტურობას აჩვენებს, რამდენადაც ის სექტორთაშორისი თანამშრომლობის გზებს მიმართავს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მედიაწიგნიერების კომპონენტის გაძლიერებას.

მედია და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაკორექტირებელი ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოების განათლების საქმეში. თუმცა, ხელისუფლების ზეწოლა და უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია შემაფერხებელი ფაქტორებია და ამცირებს მათ სანდოობას. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფმა და ექსპერტთა ინტერვიუებმა ტრადიციული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა გამოავლინა. მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, სოციალურ მედიას მიმართავენ, რაც მათ უფრო მოწყვლადს ხდის დეზინფორმაციისა და მანიპულაციის მიმართ. ინფორმაციული საფრთხეების მიმართ საქართველოს მედეგობის გაძლიერება ერთის მხრივ, შიდა გამოწვევებთან გამკლავებას მოითხოვს (როგორიცაა პოლარიზაცია და ინსტიტუციური სანდოობა), და მეორეს მხრივ, გარე საფრთხეების მოგვარებას.

რეკომენდაციები

1. რეკომენდაციები საქართველოს სახელმწიფო უწყებებისთვის:

ინფორმაციული საფრთხეების წინააღმდეგ სამთავრობო სტრატეგიის შემუშავება. შეიქმნას ყოვლისმომცველი სტრატეგია ინფორმაციული საფრთხეების თავიდან ასარიდებლად და მათთან საბრძოლველად, რაც გააერთიანებს სხვადასხვა სექტორებს, მათ შორის, უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელ სააგენტოებს, განათლებისა და კომუნიკაციის სამინისტროებს. მოცემული რეკომენდაცია შესრულდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მათ შორის უწყვეტი მონიტორინგისა და სწრაფი რეაგირების მექანიზმების ესტონური მოდელის გათვალისწინებით.

სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერება: სამართლებრივი ჩარჩოების განახლება, რათა უკეთ მოხდეს დეზინფორმაციასა და უცხოურ ჩარევასთან გამკლავება, სიტყვის თავისუფლების დასაცავად. კიბერუსაფრთხოების ეროვნული ბიუროს აღსრულების მექანიზმების გაძლიერება საინფორმაციო საფრთხეებთან დაკავშირებული კიბერ საფრთხეებთან გამკლავებისთვის.

ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერება: პოლიტიკური და მედია ინსტიტუტების მიმართ ნდობის გასამყარებლად გაუმჯობესდეს გამჭვირვალობა და კომუნიკაცია. შეიცვალოს მაპოლარიზებელი რიტორიკა და უზრუნველყოფილ იქნას ეროვნულ უსაფრთხოებასთან და დემოკრატიულ მედეგობასთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების დეპოლიტიზაცია.

მედია წიგნიერების პროგრამებში ინვესტირება: საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დაწყება მედიაწიგნიერების სასკოლო პროგრამებში ინტეგრირებისთვის. პროგრამები ფოკუსირებული იყოს კრიტიკულ აზროვნებაზე, ციფრულ წიგნიერებაზე და სანდო ინფორმაციის წყაროების ამოცნობის უნარებზე.

სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიასთან დიალოგის ხელშეწყობა: გაუქმდეს ე.წ. „უცხო ქვეყნის აგენტების კანონი" და შეიცვალოს დამოუკიდებელ მედიასა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მტრული რიტორიკა, შეწყდეს მათი შევიწროვება. მოხდეს ფორუმებისა და დიალოგების ხელშეწყობა, რაც მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასაშუალებებს ერთმანეთთან დააახლოვებს. საინფორმაციო საფრთხეებზე პროაქტიული რეაგირების მიზნით, მოხდეს დამოუკიდებელ მედიასა და ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა. ინფორმაციული საფრთხეების წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებში მოხდეს გამჭვირვალობის უზრუნველყოფა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ეფექტური მონიტორინგის საშუალებით. მოცემული რეკომენდაციის შესრულება შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის რელევანტურ დოკუმენტებსა და გეგმებზე სრული წვდომის მინიჭებით.

დასავლეთის მიმართ ანტიდემოკრატიულ და მტრულ რიტორიკაზე უარის თქმა: უარი ეთქვას ანტაგონისტურ რიტორიკას, რომელიც მიმართულია დასავლელ სტრატეგიულ მოკავშირეებსა და ინსტიტუტებზე, რაც ამძაფრებს პოლარიზაციას საზოგადოებაში. ევროკავშირის, ნატოსა და დასავლური დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ მტრული ენის გამოყენება ქართულ საზოგადოებაში სკეპტიციზმს აღძრავს, ძირს უთხრის საზოგადოების მხარდაჭერას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისადმი და აძლიერებს რუსეთის მიერ მხარდაჭერილ დეზინფორმაციულ ნარატივებს. ამის ნაცვლად, მთავრობამ კონსტრუქციული კომუნიკაცია უნდა აწარმოოს საერთო ღირებულებების, თანამშრომლობითი იდეების შესახებ, და ასევე იმ ობიექტურ შეზღუდვებზე, რაც დასავლეთთან საქართველოს ურთიერთობას ეხება და არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემოდან მომდინარეობს.

2. რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის:

სამოქალაქო განათლებისა და მედია წიგნიერების ინიციატივების გაძლიერება: არსებული პროგრამების გაფართოება იმ მიზნით, რომ მათ დაემატოს მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების ტრენინგები, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ვინც ძლიერ არის დამოკიდებული სოციალურ მედიაზე. ეს პროგრამები მორგებულ იქნას როგორც სოფლის, ისე ქალაქის დასახლებებზე, რათა დავიწროვდეს საინფორმაციო ნაპრალი ქალაქებსა და სოფლებს შორის.

კოალიციის შექმნა საინფორმაციო საფრთხეების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად: შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო), ფაქტჩექერი პლატფორმებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების კოალიცია, რომელიც რეგულარულ კამპანიებს ჩაატარებს დეზინფორმაციისა და მისი გავლენის შესახებ. ეს კოალიცია შესაძლებელია ასევე ასრულებდეს ვოჩდოგის ფუნქციებს, რათა გაიზარდოს სამთავრობო ინსტიტუტების მხრიდან მათი ანგარიშვალდებულების ხარისხი ამ საკითხის გარშემო წარმოებულ პოლიტიკაზე. მას შეუძლია მთავრობის მიერ ინფორმაციული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული სამუშაოების მონიტორინგი და რეგულარული საჯარო ანგარიშების მომზადება, პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით კი რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების ადვოკატირება.

დამოუკიდებელი და გადამოწმებული ფაქტების შემცველი საინფორმაციო წყაროებს მხარდაჭერა: ფაქტჩექერი პლატფორმების, როგორიცაა FactCheck და MythDetector, ხილვადობის გაზრდა სოციალური მედიის პლატფორმებთან თანამშრომლობის გზით. ამ წყაროების აქტიური პოპულარიზაცია უნდა მოხდეს დაბალი მედიაწიგნიერების მქონე რეგიონებში, ხელმისაწვდომი და სანდო ინფორმაცია მიწოდების მიზნით.

ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგი: ჩატარდეს სემინარები, საქალაქო კრებები და ტრენინგები ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო საფრთხეებისა და მედეგობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. საზოგადოების სანდო ლიდერებთან თანამშრომლობა, რათა შესაბამისი გზავნილები საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს მისწვდეს.

3. რეკომენდაციები საერთაშორისო თანამეგობრობისთვის:

ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა საინფორმაციო საფრთხის წინააღმდეგ საპასუხო ზომების მისაღებად: ტექნიკური ექსპერტიზის, ტრენინგის და ფინანსური რესურსების შეთავაზება საქართველოსთვის, საინფორმაციო საფრთხეებზე რეაგირების ხელშესაწყობად. კიბერუსაფრთხოების, ინფორმაციის სანდოობის და საზოგადოებრივი მედეგობის შესახებ პროექ-ტების მხარდაჭერა.

გამოცდილების გაზიარების ინიციატივების ხელშეწყობა: წაახალისეთ საქართველოს მონაწი-ლეობა გამოცდილების გაზიარებისთვის შექმნილ იმგვარ საერთაშორისო პლატფორმებში, რომლებიც ინფორმაციული საფრთხეების შერბილების სტრატეგიებს ეხება. განსაკუთრებით მომგებიანი შეიძლება იყოს პარტნიორობა ბალტიისპირეთის და სკანდინავიის ქვეყნებთან, რომლებმაც მედეგობის წარმატებული მოდელები შექმნეს.

დასავლეთის უსაფრთხოებისა და საინფორმაციო ქსელებში საქართველოს ინტეგრაციის მხარდაჭერა: საქართველოს მხარდაჭერა ნატოსა და ევროკავშირის უსაფრთხოების იმგვარ მექანიზმებში ინტეგრაციისთვის, სადაც ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაზე არიან ორიენტირებული. თანამშრომლობა ინფორმაციის საფრთხეების შესახებ ინფორმაციის რეალურ დროში გაზიარებისთვის, რაც როგორც ტექნიკურ, ისე ტაქტიკურ მხარდაჭერას იგულისხმებს.

შესაძლებლობების გაძლიერებაზე ზრუნვა, გრძელვადიან პერსპექტივაში: საქართველოს უნივერსიტეტებში იმგვარი აკადემიური პროგრამების შექმნა, რომლებიც ინფორმაციულ საფრთხეებს, კიბერუსაფრთხოებასა და სტრატეგიულ კომუნიკაციებს შეეხება. თანამშრომლობის წახალისება იმგვარ კვლევებზე, რომელიც სოციალურ მედეგობას გრძელვადიან პერსპექტივაში შეუწყობს ხელს.

გატარდეს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა გაუქმდეს უცხო ქვეყნის აგენტების კანონი და შეწყდეს საქართველოს მთავრობის მიერ დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის შევიწროება. ამ მიზნების მიღწევამდე, საინფორმაციო საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებული დონორთა მხარდაჭერა მთავრობიდან დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედიებზე გადამისამართდეს. დახმარება გაეწიოს ამ ორგანიზაციებს მათი შესაძლებლობების გასაზრდელად და მთავრობის მხრიდან მათი შევიწროვებისადმი მედეგობის გასაძლიერებლად.

ბიბლიოგრაფია

Caucasus Barometer. 2024. Caucasus Barometer 2024 Georgia. Retrieved from https://caucasusbarometer.org/en/

Cecire, Michael 2022. Georgia's foreign policy in the 21st century. Challenges for a Small State. In: German, Tracey, Jones, Stephen, Kakachia, Kornely. Georgia's foreign policy in the 21st century. Challenges for a Small State. Blooms bury. Retrieved from https://www.bloomsbury.com/us/georgias-foreign-policy-in-the-21st-century- 9780755645367/

Civil Georgia. 2024. Georgian Parliament condemns Russian aggression. Retrieved from https://civil.ge/archives/633898

CRRC. 2024. Caucasus Barometer 2024: April 16, 2024 to May 13, 2024. First main source of information for receiving news about Georgia's current events. Retrieved from https://caucasusbarometer.org/en/cb2024ge/INFSOU1/

Devdariani, J., & Adzinbaia, Z. 2019. Responding to Russian disinformation: A case of Georgia. EWMI. Retrieved from: https://ewmi-activism.org/wp-content/uploads/2019/11/Responding-to-Russian- Disinformation_A-Case-of-Georgia_FINAL_English_13.11.2019.pdf

EUvsDisinfo. 2024. Twists and turns: Georgian Dream rhetoric on the EU. Retrieved from https://euvsdisinfo.eu/twists-and-turns-georgian-dream-rhetoric-on-the-eu/

Formula. 2024. "აგენტი, მონები" — შეურაცხმყოფელი წარწერები MDF-ის ოფისთან ["Agent, Slaves" — insulting signs outside the MDF office]. Retrieved from https://www.facebook.com/photo/?fbid=860348739460065&set=a.628755205952754

Government of Georgia. 2023. 2024-2027 Communications strategy of the Government of Georgia. Retrieved from https://www.gov.ge/files/429_86924_831685_CommunicationsStrategyofGovernmentofGeorgia.pdf

Government of Georgia. 2024. Government program document. Retrieved from https://www.gov.ge/files/602_89035_749862_985.pdf

Hénin, Nicolas. 2023. "FIMI: Towards a European redefinition of foreign interference." EU DisInfoLab.

IPN. 2023. Facebook removes more than 100 fake accounts and pages connected to the Georgian government's Strat Com. Retrieved from https://www.interpressnews.ge/ka/article/754456-facebook-ma-sakartvelos-mtavrobis-stratkomtan-dakavshirebuli-100-ze-meti-qalbi-angarishi-da-gverdi-cashala

Ipsos. 2023. Perceptions of information chaos in Baltic States and Central Europe. Retrieved from https://www.ipsos.com/sites/default/files/ct/news/documents/2023-03/Sociological%20survey%20Perceptions%20of%20Information%20Chaos%20in%20Baltic%20States%20and%20Central%20Europe.pdf

Kakachia, Kornely. 2018.How the West Should Respond to Russia's "Borderization" in Georgia. PONARS Eurasia Policy Memo. Retrieved from https://www.ponarseurasia.org/wp-content/uploads/attachments/Pepm523_Kakachia_April2018-0.pdf

Kakachia, Kornely. 2024.Navigating Uncertainty: Georgia's Black Sea Strategy in a New Environment. Springer. In. Kakachia, Kornely, Malerius, Stephan, Meister, Stefan. Security Dynamics in the Black Sea RegionGeopolitical Shifts and Regional Orders. Retrieved from https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-62957-0_14

Legislative Herald of Georgia. 1999. Criminal code of Georgia. Retrieved from https://www.matsne.gov.ge/en/document/view/16426?publication=262

Legislative Herald of Georgia. 2004. Law of Georgia on broadcasting. Retrieved from https://matsne.gov.ge/en/document/view/32866?publication=70

Legislative Herald of Georgia. 2012. Law of Georgia on information security. Retrieved from https://matsne.gov.ge/en/document/view/1679424?publication=3

Legislative Herald of Georgia. 2021. On the approval of the 2021-2024 national cyber security strategy of Georgia and its action plan. Retrieved from https://matsne.gov.ge/en/document/view/5263611?publication=0

Light, Felix. 2024. Georgia's shark-owning billionaire tells voters: Don't risk war with Russia. Reuters. Retrieved from https://www.reuters.com/world/europe/georgias-shark-owning-billionaire-tells-voters-dont-risk-war-with-russia-2024-10-22/

MDF - Media Development Foundation. 2021. Facebook removes over 100 accounts and pages linked to Georgia's Strat Com. Retrieved from https://www.mdfgeorgia.ge/geo/view_news/519

Nadibaidze, Anna. 2024. Russia's Drive for AI: Do Deeds Match the Words? Washington Quarterly. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/0163660X.2024.2435162#d1e89

NATO. 2024. NATO's approach to counter information threats. Retrieved from https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_219728.htm

NATO Strategic Communications Centre of Excellence. 2024. Georgia's information environment through the lens of Russia's influence. Retrieved from https://stratcomcoe.org/publications/georgias-information-environment-through-the-lens-of-russias-influence/212

Newman, Hadley. 2022. Foreign information manipulation and interference defence standards: Test for rapid adoption of the common language and framework 'DISARM'. NATO Strategic Communications Centre of Excellence.

OECD. 2024. OECD survey on drivers of trust in public institutions 2024 results - Country notes: Estonia. Retrieved from https://www.oecd.org/en/publications/oecd-survey-on-drivers-of-trust-in-public- institutions-2024-results-country-notes_a8004759-en/

Sabanadze, Nata.2022. EU-Georgia: Politics, Geography and Identity. In: German, Tracey, Jones, Stephen, Kakachia, Kornely. Georgia's foreign policy in the 21st century. Challenges for a Small State. Bloomsbury. Retrieved from https://www.bloomsbury.com/us/georgias-foreign-policy-in-the-21st-century-9780755645367/

Scott, Liam. 2024. Journalists covering opposition to Georgian law receive threats. VOA. Retrieved from https://www.voanews.com/a/journalists-covering-opposition-to-georgian-law-receive-threats/7616578.html

Seskuria, Natia. 2024. A defining moment for Georgia's European future. RUSI. Retrieved from https://www.rusi.org/explore-our-research/publications/commentary/defining-moment-georgias-european-future

Schleffer Guy, Miller, Benjamin, Texas National Security Review. 2021. The political effects of social media platforms on different regime types. Retrieved from https://tnsr.org/2021/07/the-political-effects-of-social-media-platforms-on-different-regime-types/

Transparency International Georgia. 2024. The fight against disinformation in Georgia. Retrieved from https://transparency.ge/sites/default/files/dezinpormaciis_cinaagmdeg_brzola_sakartveloshi-e-web_0.pdf

Tsetskhladze, Salome. 2023. Spreading disinformation in Georgia - State approach and countermeasures. Transparency International. Retrieved from https://www.transparency.ge/en/post/spreading-disinformation-georgia- state-approach-and-countermeasures

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ჟურნალისტების პროფილები

ნინო დალაქიშვილი, 4 ივლისი, 2024. ამერიკის ხმა.

ნინო გელაშვილი, 4 ივლისი, 2024. რადიო თავისუფლება.

გიორგი ქელბაქიანი, 4 ივლისი, 2024. სივილ ჯორჯია.

დავით ქოქოშვილი, 4 ივლისი, 2024. ნეტგაზეთი.

გიორგი თარგამაძე, 4 ივლისი, 2024. ფორმულა.

ზურაბ ვარდიაშვილი, 4 ივლისი, 2024. პუბლიკა.

ნინო ზაუტაშვილი, 4 ივლისი, 2024 წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი.

ნინო ჟიჟილაშვილი, 4 ივლისი, 2024. ფორმულა.

ლიკა ზაკაშვილი, 4 ივლისი, 2024. პუბლიკა.

უსაფრთხოების ექსპერტთა პროფილები

ლაშა ძებისაშვილი, 19 ივლისი, 2024. საქართველოს უნივერსიტეტი.

ანდრო გოცირიძე, 16 ივლისი, 2024. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.

შორენა ლორთქიფანიძე, 9 ივლისი, 2024. თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭო.

დავით სიხარულიძე, 2024 წლის 15 ივლისი. საქართველოს ატლანტიკური საბჭო

ჯეიმს პემმენტი, 10 ოქტომბერი, 2024. ლუნდის უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიური თავდაცვის კვლევითი ინსტიტუტი

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2025

ა. პუშკინის ქ. 13,
0107 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 595 045 144
ელ.ფოსტა: info@gip.ge www.gip.ge